საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

№9 / 2016

შრომის ბაზარი ბათუმში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარაში“, რომლის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური ეკომიგრანტებისა და შრომითი მიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვალილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში. პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ ძირითად აქტივობად გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტთა პროფესიული სწავლების ხელშეწყობა. ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს შეუძლიათ ჩაერთონ აღნიშნულ პროექტში, მიიღონ სასწავლო გრანტი და შეისწავლონ სასურველი პროფესია პროფესიულ კოლეჯ „ბლექსში“ (ქ. ბათუმში) და საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ (ქობულეთში). პროექტის ფარგლებში პროფესიულ მომზადებას გაივლის მინიმუმ 100 ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტი, მათ შორის 50% იქნება ქალი.

მარინე პაპუნიძე



ბათუმის შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები

კვლევის ჩატარების მიზანი

ბათუმის შრომის ბაზრის კვლევის საჭიროება განაპირობა პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარაში“ მიზანმა, რომელიც გულისხმობს შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტთა პროფესიული სწავლებისა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და პროექტის შედეგთა ეფექტურობის ასამაღლებლად აუცილებელი იყო, პირველ რიგში გაგვეგო ამჟამად რა ვითარებაა შრომის ბაზარზე და რა გორია სამუშაო ძალაზე მოთხოვნა პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა კვლევის მიზნებიც, რომელიც მოიცავდა არამარტო სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის დადგენას, არამედ შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლასაც:

სამუშაო ძალაზე პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა;

სამუშაო ძალის მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;

იმ პროფესიების დადგენა, რომლებზეც მიმდინარე პერიოდში მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული ან/და უახლოს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა;

კადრების კვალიფიკაციით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის შეფასება.

საკვლევი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები:

კვლევის მიზნების შესაბამისად განისაზღვრა კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ შეირჩა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. საჭირო ინფორმაციის შეკრებისათვის ჩატარდა პირისპირი ინტერვიუები სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რამაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კვლევის ობიექტების შერჩევა მოხდა სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, ძირითადი კრიტერიუმი იყო საქმიანობის სფერო, იმ თვალსაზრისით, რომ კვლევაში მოხვედრილიყო ეკონომიკური საქმიანობის ყველა ტიპის საწარმო/ორგანიზაცია. აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტთა პოტენციური დამსაქმებლის სტატუსი, კერძოდ, შედარებით პრიორიტეტულ რესპონდენტებად მიჩნეულ იყვნენ ის საწარმოები/ორგანიზაციები, რომლებსაც დასაქმებული ჰყავდათ შრომითი ან/და ეკოლოგიური მიგრანტები. კვლევის ობიექტთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო აგრეთვე საწარმოთა/ორგანიზაციათა სიდიდე. მცირე საწარმოების შერჩევისას დამატებითი კრიტერიუმი იყო დასაქმებულთა რაოდენობა, კერძოდ, კვლევაში მონაწილეობდნენ ის მცირე საწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 4 თანამშრომელს აღემატებოდა.

კვლევის დაწყებამდე კითხვარმა გაიარა პრეტესტი (7 საპილოტე ინტერვიუ) ქ. ბათუმში.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 40 პირისპირი ინტერვიუ საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან ან სხვა კომპეტენტურ პირებთან, ქ. ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

გამოკვეთილი ტენდენციები

კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი კომპანიები, კერძოდ გამოკითხულ დამსაქმებელთა შორის წარმოდგენილია: HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კეტა) სექტორი, სამშენებლო სფერო, ვაჭრობისა და მომსახურების სფერო, დალაგება-დასუფთავებისა და გაზიფიკაციის სფერო, სამკერვალო ფაბრიკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკონდიტროები, ავეჯის საამქროები და სხვა საწარმოები, რომლებიც შერჩევის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სფეროების მიხედვით ყველაზე მსხვილ დამსაქმებელთა სამეულში შედიან სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები და HoReCa სექტორი.

ზემოხსენებული დამსაქმებლები კადრების მოზიდვისათვის ერთდროულად სხვადასხვა გზასა და საშუალებას იყენებენ. თუმცა კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დომინანტია საჭირო კადრების მოძიება და მოზიდვა პირადი კონტაქტებითა და რეკომენდაციებით (30.86%). აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში რეკომენდაცია ზეპირსიტყვიერად ენევა კანდიდატს და იმ რესპონდენტთა 80.95%, რომლებიც აცხადებენ, რომ კადრების შერჩევის პროცესში ძირითადად ხელმძღვანელობენ პირადი კონტაქტებითა და ნაცნობთა რეკომენდაციებით, ამავდროულად აღნიშნავენ, რომ კადრების მოზიდვისას ექმნებათ სირთულეები. ხოლო ის რესპონდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ კადრების შერჩევისას არ შექმნიათ პრობლემები, კადრების მოძიებისას ხშირად სხვადასხვა მეთოდის კომბინაციას იყენებენ. დამსაქმებელთა 30% საგრებლობს ინტერნეტრესურსებით, კერძოდ, ათავსებენ ვაკანსიებს დასაქმების პოპულარულ ვებგვერდებზე, 14.49% სასურველი კადრების შერჩევის მიზნით თანამშრომლობს დასაქმების სააგენტოსთან, ხოლო მცირე ნაწილი ანარმოებს მოლაპარაკებებს როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

დამსაქმებელთა მხრიდან კადრების შერჩევის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გასაუბრების ეტაპს და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან ეტაპად დაფიქსირდა კადრების შერჩევა გამოსაცდელი პერიოდით.

რაც შეეხება შრომის ბაზარზე არსებულ პრობლემებს, კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბათუმის შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების დეფიციტია, აღნიშნული პრობლემა სახელდება თითქმის ყველა გამოკითხული დამსაქმებლის მიერ. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ზაფხულის პერიოდში, სასტუმროებსა და სამკერვალო ფაბრიკებს ექმნებათ კადრების გადინების პრობლემა, ვინაიდან დასაქმებულთა დიდი ნაწილი მიდის თურქეთის რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მიზნით. აღსანიშნავია აგრეთვე უცხო ენების არ ცოდნის პრობლემა, რომელიც ძირითადად, სასტუმროებს, სამკერვალო ფაბრიკებსა და ვაჭრობის სფეროში მომუშავე კომპანიებს აქვთ. გამოკითხული დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლები ფლობდნენ ინგლისურ (43.75%) და რუსულ ენებს (43.75%) სასაუბრო დონეზე, ხოლო 12.5%-სთვის ასევე მნიშვნელოვანია სასაუბრო დონეზე თურქული ენის ცოდნაც.

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები

ზოგადად კონკრეტული პოზიციების ჩამონათვალი, რომელზედაც დამსაქმებლებს ექმნებათ პრობლემები, ვრცელია და მოიცავს როგორც კვალიფიციურ სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით, ასევე პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კადრებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ბათუმის შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია: ტექნიკოსი, გაყიდვების სპეციალისტი, კონდიტერი, მიმტანი, მზარეული, მცხობელი, D კატეგორიის მძღოლი, ინჟინერ-მშენებელი, ელექტრიკოსი, ექსპერტ-შემფასებელი, მკერავი და მომლები-რეცეფციონისტი **[იხილეთ დიაგრამა].**

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამომავლოდ დასაქმებული კადრების რაოდენობის შემცირებას არც ერთი დამსაქმებელი არ გეგმავს. უფრო მეტიც, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში გამოკითხულთა 47.40% გეგმავს გაზრდოს დასაქმებულთა რაოდენობა, კერძოდ კადრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა იგეგმება სამშენებლო, სასტუმრო, მიკროსაფინანსო სექტორში. კადრების რაოდენობის ზრდას გეგმავენ ასევე ბეტონის მნარმოებელი კომპანიები და სამკერვალო ფაბრიკები.

ზემოაღწერილი კვლევის შედეგების სრულად ნახვა შესაძლებელია კავშირ „ინტელექტის“ ვებ ვერდზე (www.intellect.org.ge).

P.S. ვფიქრობ, პროექტის პროფესიული სწავლების ხელშეწყობის კომპონენტი იქნება ნარმატებული, ვინაიდან პროფესიული გადამზადების პროგრამები შეირჩევა შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე, რაც მოგვცემს შესაძლებლობას უზრუნველვყოთ დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, მათ დასაქმებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. აგრეთვე კავშირი „ინტელექტი“ ყველა ბენეფიციარს, ვინც წარმატებით გაივლის პროფესიული გადამზადების კურსს, გაუწევს რეკომენდაციას და მისცემს პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ მოიძიონ სასურველი სამსახური, რას მიაქციონ ყურადღება სამსახურის ძიების პროცესში, რა დამატებითი უნარ-ჩვევები დასჭირდება ამა თუ იმ პოზიციას და ა.შ.

ყველა ბენეფიციარსა და სამსახურის მაძიებელს ვუსურვებ წარმატებას!

მარინე პაპუნიძე, ექსპერტი

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი:
თეონა კაკაციძე
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის 13
ტელ: 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge